ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. 9 ივნისი — № 14 — თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

64. სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

65. სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ.

66. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 44[3] და 45 მუხლების შეცვლის შესახებ.

67. სახალხო სასამართლოების განაჩენთა და გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შეზღუდვის გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

68. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობის „კომუნისტის“ წესდების დამტკიცების შესახებ.

წესდება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა „კომუნისტისა“.

69. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ წესდების დამტკიცების შესახებ.

წესდება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკასი“.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

70. იმ დადგენილების დამატების თაობაზე, რაც გამოცემულია „ისეთი სახის ქონების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**64. სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ“ 1931 წ. 27 ნოემბერს მიღებული დადგენილების მე-2 მუხლიდან (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 268; 1933 წ. № 10, მუხ. 146 და 1934 წ. № 35, მუხ. 271) ამოიშალოს მინიშნება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხ. 1 ნაწ., 65, 73, 75 მუხ. 1 ნაწ., $103^{1}$, 112, 113, 198, 200 მუხ. 1 და 2 ნაწ., $202^{1}$ მუხ. 2 ნაწ., 205, $205^{1}$, 206, 207, $203^{1}$ და 211 მუხლებზე.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივნისის 8. № 265/680.
თბილისი.

---

**65. სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ“ 1931 წ. 27 ნოემბერს მიღებული დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 268; 1933 წ. № 10, მუხ. 146; 1934 წ. № 35, მუხ. 271; 1938 წ. № 14 მუხ. 64) მუხლები 1—4 შემდეგი წესით:

1 მუხლი — კოდექსის 25 მუხლად,
2 მუხლი — კოდექსის $25^{1}$ მუხლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 მუხლი — კოდექსის 26 მუხლად, ხოლო
4 მუხლი — კოდექსის 26 მუხლის შენიშვნად;

ამასთანავე 1 მუხლში არსებული მითითება იმავე დადგენილების მე-2 და 3 მუხლებზე შეცვლილ იქნას მითითებად „25¹ და 26 მუხლში“, ხოლო მე-4 მუხლში არსებული მითითება დადგენილების მე-3 მუხლზე შეცვლილ იქნას მითითებად: „ამა მუხლში“.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 366 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. № 6, მუხ. 128; 1928 წ. № 11, მუხ. 106) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„366. 25¹ მუხლში აღნიშნულ საქმეებზე სახალხო მოსამართლე, უკეთუ კანონის დარღვევა აშკარა და უდავოა, განაჩენს დაადგენს სასამართლოს ბრძანების სახით, ქვემომდევნო მუხლების თანახმად.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივნისის 8. № 266/679.
თბილისი.

---

**66. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 44³ და 45 მუხლების შეცვლის შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 26 ივლისის დადგენილების შესაბამისად „კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის შრომა-დღეების თაობაზე წამოჭრილ სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შემცირების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 47 მუხ. 191) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსს დაემატოს მუხლი 44³ შემდეგი შინაარსისა:

„44³. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის შრომადღეების თაობაზე წამოჭრილი დავის გამო სარჩელის ხანდაზმულობა წესდება ერთი წლიწადი“.

2. იმავე კოდექსის 45 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„45. სარჩელის ხანდაზმულობის დენა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც წარმოიშობა სარჩელის აღძვრის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ვალდებულებათა გამო, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნას კრედიტორის მოთხოვნით, სარჩელის ხანდაზმულობის დენა დაიწყება ვალდებულების წარმოშობის დროიდან.

კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის შრომა-დღეების თაობაზე წამოჭრილი დავის გამო სარჩელის ხანდაზმულობა გამოიანგარიშება მოცემულ კოლმეურნეობაში შემოსავლის ფაქტიურად განაწილების მომენტიდან.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივნისის 8. № 267/595.
თბილისი.

---

**67. სახალხო სასამართლოების განაჩენთა და გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შეზღუდვის გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 17 ივნისის დადგენილების შესაბამისად „სახალხო სასამართლოების განაჩენთა და გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შეზღუდვის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 10, მუხ. 104) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„347. საბოლოოა და არ განისაჩივრება, ხოლო შეიძლება ზედამხედველობის წესით გაუქმდეს და შეიცვალოს:

ა) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ამა კოდექსის 261 მუხლის წესისამებრ გადასახდელის დადების შესახებ;

ბ) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ამა კოდექსის 267 და 341 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღმკვეთი ღონისძიების მიღების შესახებ“.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსის 267 მუხლი 1931 წლის რედაქციით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 19, მუხ. 205).

3. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 30 ოქტომბრის „ლიკვიდაციად მიქცეულ საწარმოთათვის, ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო, გადასახდევინებელი პენსიისა და სასყიდლის კაპიტალიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 22, მუხ. 261)—დადგენილების მე-8 მუხლიდან ამოღებული იქნას სიტყვები:

„სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც განსაზღვრული იქნება კაპიტალიზებულ სასყიდელთა თანხა, საბოლოოა და იგი არ განისაჩივრება“.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივანი მ.ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. ივნისის 8. № 268/681.
თბილისი.

---

## ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

**68. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობის „კომუნისტის“ წესდების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცდეს გამომცემლობა „კომუნისტის“ წესდება.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივანი მ.ა. **ვ. ეგნატაშვილი.**

1938 წ. მაისის 21. № 263.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წ ე ს დ ე ბ ა

## საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა „კომუნისტისა"

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „კომუნისტის" ძირითად ამოცანას წარმოადგენს გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემა.

2. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობას „კომუნისტს" ენიჭება უფლება: გამოსცეს პერიოდული და არა-პერიოდული გამოცემანი, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე აწარმოოს საკუთარ და სხვის გამოცემათა გავრცელების ოპერაციები როგორც თავის ხარჯზე, ისე საკომისიოდ, მოაწყოს და ჰქონდეს დამხმარე და ხელშემწყობი საწარმონი (სტამბები და სხვ.), შეასრულოს სხვადასხვაგვარი სასტამბო სამუშაო თავისი დავალების განსახორციელებლად და გარედან შემოსული დაკვეთებით, მიიღოს კრედიტი სახელმწიფო ბანკიდან, გახსნას თავისი საანგარიშსწორებო ანგარიშები, სპეციალური და სხვა ანგარიშები, აღძრას ძიება და პასუხი აგოს სასამართლოსა და არბიტრაჟში.

3. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „კომუნისტი" მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე და რეგისტრაციის დღიდან სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

4. თავის ვალდებულებათა მიხედვით საქართველოს სსრ ცაკის გამომცემლობა „კომუნისტი" პასუხს აგებს იმ მთელი თავისი კუთვნილი ქონებით, რომელზედაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

5. საქართველოს სსრ-ის გამომცემლობას „კომუნისტს" აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია მისი სახელწოდება საქართველოს სსრ ცაკ-ის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

### II. გამომცემლობის სახსრები

6. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „კომუნისტის" სახსრები სდგება საწესდებო, საამორტიზაციო, სადირექტორო და სხვა ფონდებიდან.

7. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „კომუნისტის" საწესდებო ფონდი 1938 წლის 1 იანვრის ბალანსის მიხედვით იანგარიშება 1.308.275 მან. 46 კაპ. რაოდენობით.

მთხ. 68
ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. გადარიცხვა საამორტიზაციო ფონდში იმ ქონების საამორტიზაციოდ, რომელსაც შეადგენენ შენობა, მოწყობილობა, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნაგებობანი და სხვ., ხდება მომქმედი კანონმდებლობით დაწესებული ოდენობით.

9. სადირექტორო ფონდი იქმნება ყოველწლიური ანარიცხებიდან დამტკიცებული გეგმის ფარგლებში მიღებული წმინდა მოგების 4%-ის რაოდენობით და გეგმის ზევით მიღებული მოგების 50%-ის რაოდენობით.

## III. გამომცემლობის მართვა-გამგეობის ორგანოები

10. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „კომუნისტი“ ადმინისტრაციულ-საფინანსო-სამეურნეო მხრივ ექვემდებარება საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

11. გამომცემლობის ადმინისტრაციულ-ფინანსიურ-სამეურნეო მოღვაწეობის საერთო ხელმძღვანელობას ანხორციელებს საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანი.

12. გამომცემლობის სათავეში დგას გამომცემლობის დირექტორი, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ, საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივნის წარდგენით.

13. გამომცემლობის მთავარ ბუხჰალტერს ნიშნავს და სცვლის საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანი გამომცემლობის დირექტორის წარდგენით.

14. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „კომუნისტის“ დირექტორის გამგებლობაში შედის გამომცემლობის ყველა ოპერაციის ხელმძღვანელობა:

ა) გამომცემლობის საქმეებისა და ქონების მართვა-გამგეობა;

ბ) გამომცემლობის ოპერაციათა რიცხვში შემავალ გარიგებათა დადება;

გ) სალაროს და საქმისწარმოების ორგანიზაცია, ანგარიშგებათა წარმოება, საკონტროლო ციფრების, საწარმოო-საფინანსო გეგმების, გამომცემლობის ანგარიშებისა და ბალანსების შედგენა, აგრეთვე რედაქციებისა და დამხმარე საწარმოთა ხარჯთაღრიცხვების შესრულების კონტროლი და სახსრების გაცემის შეწყვეტა გადახარჯვისა და ფინანსიური დისციპლინის სხვა დარღვევათა შემთხვევაში;

დ) გამომცემლობის ფინანსებისა და კრედიტების გამგებლობა, ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშების გახსნა და ყველა ფინანსიური ოპერაციის წარმოება;

ე) გამომცემლობის მოსამსახურეთა დანიშვნა და დათხოვნა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება;

ვ) ქონების ყიდვა და გაყიდვა, დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმის თანახმად, კანონით დადგენილ წესით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) საწყობებისა და სადგომების დაქირავება;

თ) გამომცემლობის ქონების დაზღვევა;

ი) გაცემა და განაღდებლად მიღება ვადიან ვალდებულებათა სესხებისა და დაფინანსების დარგში;

კ) საწარმოთა გადაკეთება და გაფართოება დაწესებული გეგმის თანახმად;

ლ) გამომცემლობის მიზნებისა და ამოცანებისათვის საჭირო ყოველგვარ მოქმედებათა წარმოება ამა დებულებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

15. ხელშეკრულებებს, ნდობის ბარათებს, ჩეკებს, აქტებს და სხვა ვალდებულებებს ხელს აწერს გამომცემლობის დირექტორი ან მისი რწმუნებული რწმუნების გადაცემის წესით.

ფულადი ხასიათის საბუთებს ამოწმებს მთავარი ბუხჰალტერი.

16. რედაქციის თანამშრომელთა დანიშვნა და დათხოვნა საწარმოს პასუხისმგებელი რედაქტორის განკარგულებით და გაფორმდება გამომცემლობის დირექტორის მიერ.

17. გამომცემლობის შემადგენლობაში შემავალი ყველა ცალკეული საწარმოს უშუალო მმართველობა ეკუთვნის დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ითხოვს გამომცემლობის დირექტორი საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანთან შეთანხმებით.

18. გამომცემლობის დირექტორისა და საწარმოს დირექტორის ურთიერთ დამოკიდებულების რეგულირება ხდება დებულებით სამრეწველო საწარმოთა შესახებ.

19. გამომცემლობის მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ ყველა გარიგებას გამომცემლობის დირექტორი ახორციელებს იმ მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც ყოველწლიურად გასცემს საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანი.

20. საწარმოს მართვა-გამგებლობასთან დაკავშირებულ ყველა გარიგებას საწარმოს დირექტორი სდებს გამომცემლობის სახელით გამომცემლობის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

21. კრედიტებს, რომელიც გაღებულია ყოველი გამომცემლობისათვის მისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, განაგებს თვითეული გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

რედაქციის მიერ ამა თუ იმ მუხლით სახსრების გადახარჯვის შემთხვევაში გამომცემლობის დირექტორს უფლება აქვს შესწყვიტოს ამ მუხლით სახსრების გაცემა საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ დამატებითი კრედიტების დამტკიცებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV. გამომცემლობის ანგარიშგება და საქმიანობის რევიზია

22. გამომცემლობის საოპერაციო წელი წესდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

23. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 15 ნოემბრისა, გამომცემლობა საქართველოს სსრ ცაკ-ში წარადგენს საწარმოო-საფინანსო გეგმას საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ დასამტკიცებლად.

24. ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა, გამომცემლობა საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმში წარადგენს დასამტკიცებლად წლიურ ანგარიშსა და ბალანსს, ნახევარი წლის ანგარიში და ბალანსი უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმს არა უგვიანეს 1 აგვისტოსი.

25. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „კომინისტის“ საქმიანობის რევიზიას ანხორციელებს საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანი.

26. გამომცემლობის დაგროვებათა განაწილებისა და დანაკარგთა დაფარვის წესს ადგენს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმი გამომცემლობის წლიური ანგარიშისა და ბალანსის განხილვის დროს.

## V. გამომცემლობის ლიკვიდაცია

27. გამომცემლობის ლიკვიდაციას, კანონით დადგენილი წესით, მოახდენს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

---

**69. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ წესდების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცდეს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ წესდება.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. ვ. ეგნატაშვილი.

1938 მაისის 21. № 264.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წ ე ს დ ე ბ ა

## საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკასი“

### I. ზოგადი დებულება

1. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ ძირითად ამოცანას წარმოადგენს გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემა.

2. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობას „ზარია ვოსტოკას“ ენიჭება უფლება: გამოსცეს პერიოდული და არა პერიოდული გამოცემანი, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე აწარმოოს საკუთარ და სხვის გამოცემათა გავრცელების ოპერაციები როგორც თავის ხარჯზე, ისე საკომისიოდ, მოაწყოს და ჰქონდეს დამხმარე და ხელშემწყობი საწარმონი (სტამბები და სხვ.), შეასრულოს სხვადასხვაგვარი სასტამბო სამუშაო თავისი დავალებების განსახორციელებლად და გარედან შემოსული დაკვეთებით, მიიღოს კრედიტი სახელმწიფო ბანკიდან, გახსნას თავისი საანგარიშსწორებო ანგარიშები, სპეციალური და სხვა ანგარიშები, აღძრას ძიება და პასუხი აგოს სასამართლოსა და არბიტრაჟში.

3. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე და რეგისტრაციის დღიდან სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

4. თავის ვალდებულებათა მიხედვით საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ პასუხს აგებს იმ მთელი თავისი კუთვნილი ქონებით, რომელზედაც, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

5. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობას „კომუნისტს“ აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია მისი სახელწოდება საქართველოს სსრ ცაკ-ის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

### II. გამომცემლობის სახსრები

6. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ სახსრები სდგება საწესდებო, საამორტიზაციო, სადირექტორო და სხვა ფონდებიდან.

7. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ საწესდებო ფონდი 1938 წლის 1 იანვრის ბალანსის მიხედვით იანგარიშება 1.789.031 მან. 25 კაპ. რაოდენობით.

მოხ / 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. გადარიცხვა საამორტიზაციო ფონდში იმ ქონების საამორტიზაციოდ რომელსაც შეადგენენ შენობა, მოწყობილობა, ინსტრუმენტები, ინვენტარი ნაგებობანი და სხვ., ხდება მომქმედი კანონმდებლობით დაწესებული ოდე ნობით.

9. სადირექტორო ფონდი იქმნება ყოველწლიური ანარიცხებიდან დამ ტკიცებული გეგმის ფარგლებში მიღებული წმინდა მოგების 4%-ის რაოდენო ბით და გეგმის ზევით მიღებული მოგების 50%-ის რაოდენობით.

## III. გამომცემლობის მართვა-გამგეობის ორგანოები

10. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ ადმინი სტრაციულ-ფინანსიურ-სამეურნეო მხრივ ექვემდებარება საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

11. გამომცემლობის ადმინისტრაციულ-ფინანსიურ-სამეურნეო მოღვაწეო ბის საერთო ხელმძღვანელობას ანხორციელებს საქართველოს სსრ ცაკ-ი მდივანი.

12. გამომცემლობის სათავეში დგას გამომცემლობის დირექტორი, დამ ტკიცებული საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ, საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივნის წარდგენით.

13. გამომცემლობის მთავარ ბუხჰალტერს ნიშნავს და სცვლის—საქარ თველოს სსრ ცაკ-ის მდივანი გამომცემლობის დირექტორის წარდგენით.

14. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ დი რექტორის გამგებლობაში შედის გამომცემლობის ყველა ოპერაციის ხელმძღვა ნელობა:

ა) გამომცემლობის საქმეებისა და ქონების მართვა-გამგეობა;

ბ) გამომცემლობის ოპერაციათა რიცხვში შემავალ გარიგებათა დადება

გ) სალაროს და საქმისწარმოების ორგანიზაცია, ანგარიშგებათა წარმო ება, საკონტროლო ციფრების, საწარმოო-საფინანსო გეგმების, გამომცემლობი ანგარიშებისა და ბალანსების შედგენა, აგრეთვე რედაქციებისა და დამხმარ საწარმოთა ხარჯთ-ღრიცხვების შესრულების კონტროლი და სახსრების გაცე მის შეწყვეტა გადახარჯვისა და ფინანსიური დისციპლინის სხვა დარღვევათ შემთხვევაში;

დ) გამომცემლობის ფინანსებისა და კრედიტების გამგებლობა, ბანკებშ საანგარიშოსწორრებო ანგარიშების გახსნა და ყველა ფინანსიური ოპერაციი წარმოება;

ე) გამომცემლობის მოსამსახურეთა დანიშვნა და დათხოვნა და კოლექტი ურ ხელშეკრულებათა დადება;

ვ) ქონების ყიდვა და გაყიდვა, დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგ მის თანხმად, კანონიერ დადგენილ წესით;

№ 14
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) საწყობების და სადგომების დაქირავება;

თ) გამომცემლობის ქონების დაზღვევა;

ი) გაცემა და გასანაღდებლად მიღება ვადიან ვალდებულებათა სესხებისა და დაფინანსების დარგში;

კ) საწარმოთა გადაკეთება და გაფართოვება დაწესებული გეგმის თანახმად;

ლ) გამომცემლობის მიზნებისა და ამოცანებისათვის საჭირო ყოველგვარი მოქმედებათა წარმოება ამა დებულებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

15. ხელშეკრულებებს, ნდობის ბარათებს, ჩეკებს, აქტებს და სხვა ვალდებულებებს ხელს აწერს გამომცემლობის დირექტორი ან მისი რწმუნებული რწმუნების გადაცემის წესით.

ფულადი ხასიათის საბუთებს ამოწმებს მთავარი ბუხჰალტერი.

16. რედაქციის თანამშრომელთა დანიშვნა და დათხოვნა სწარმოებს პასუხისმგებელი რედაქტორის განკარგულებით და გაფორმდება გამომცემლობის დირექტორის მიერ.

17. გამომცემლობის შემადგენლობაში შემავალი ყველა ცალკეული საწარმოს უშუალო მმართველობა ეკუთვნის დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ითხოვს გამომცემლობის დირექტორი საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანთან შეთანხმებით.

18. გამომცემლობის დირექტორისა და საწარმოს დირექტორის ურთიერთ დამოკიდებულების რეგულირება ხდება დებულებით სამრეწველო საწარმოთა შესახებ.

19. გამომცემლობის მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ ყველა გარიგებას გამომცემლობის დირექტორი ანხორციელებს იმ მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც ყოველწლიურად გასცემს საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანი.

20. საწარმოს მართვა-გამგეობასთან დაკავშირებული ყველა გარიგებას საწარმოს დირექტორი სდებს გამომცემლობის სახელით გამომცემლობის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

21. კრედიტებს, რომელიც გაღებულია ყოველი გამომცემლობისათვის მისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, განაგებს თვითეული გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

რედაქციის მიერ ამა თუ იმ მუხლით სახსრების გადახარჯვის შემთხვევაში გამომცემლობის დირექტორს უფლება აქვს შესწყვიტოს ამ მუხლით სახსრების გაცემა საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ დამატებითი კრედიტების დამტკიცებამდე.

ბიბლიოთეკა

## IV. გამომცემლობის ანგარიშგება და საქმიანობის რევიზია

22. გამომცემლობის საოპერაციო წელი წესდება 1 იანვრიდან 13 დეკემბრამდე.

23. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 15 ნოემბრისა, გამომცემლობა საქართველოს სსრ ცაკ-ში წარადგენს საწარმოო-საფინანსო გეგმას საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ დასამტკიცებლად.

24. ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა, გამომცემლობა საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმში წარადგენს დასამტკიცებლად წლიურ ანგარიშსა და ბალანსს, ნახევარი წლის ანგარიში და ბალანსი უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმს არა უგვიანეს 1 აგვისტოსი.

25. საქართველოს სსრ ცაკ-ის გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ საქმიანობის რევიზიას ანხორციელებს საქართველოს სსრ ცაკ-ის მდივანი.

26. გამომცემლობის დაგროვებათა განაწილებისა და დანაკარგთა დაფარვის წესს ადგენს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმი გამომცემლობის წლიური ანგარიშისა და ბალანსის განხილვის დროს.

## V. გამომცემლობის ლიკვიდაცია

27. გამომცემლობის ლიკვიდაციას, კანონით დადგენილი წესით, მოახდენს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

---

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

**70. იმ დადგენილების დამატების თაობაზე, რაც გამოცემულია „ისეთი სახის ქონების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით“.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: 067.2

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. 22 ნოემბრის თარიღით გამოცემულ დადგენილების 1 მუხლს „ისეთი სახის ქონების შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება სასამართლო ორგანოების საალსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 19, მუხ. 143) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამა დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება ქონების ჩამორთმევის იმ შემთხვევებზე, როდესაც გადახდევინება სწარმოებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 10 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე „სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სავალდებულო ნატურალურ ჩაბარებათა და კოლმეურნეობებსა, სარეწაო არტელებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე დადებულ ჯარიმათა გამო ნარჩენების დასაფარავად ქონების ადმინისტრაციული წესით ჩამორთმევის გაუქმების და სასამართლო წესის დადგენის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 103).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა რ. ჭელიძე.

1938 წ. მაისის 19. № 734.
თბილისი

---

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

ფასი 25 კაპ.

გამოცემული $\frac{\text{საქ. სსრ ს. კ. ს-ოს}}{\text{საქმ. მმართველობა}}$ 1938 წ. № 27. პ/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 7/8 ბეჭდვ. ფურც; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 10/VI, ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII; ტირაჟი 2.000.

მთავლიტის რწმ. № 1121. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკვ. № 698